ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3692238

ნომერი: AR1555500

თარიღი : 07.11.2017

გაცემის თარიღი : 21.11.2017

გაცნობის თარიღი : 27.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ჯღამაძე პ/ნ 01008010861
- თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #19, ბ.18

ორგანიზაცია:
- შპს კლინიკური მედიცის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტი კოდი: 201990694

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3106151ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 7 ნოემბერს №AR1555500 განცხადებით მომართა მოქალაქე ნინო ჯღამაძემ და მოითხოვა 2017 წლის 23 თებერვლის №3106151 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად  შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის  მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3106151ბრძანებით, ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალზე (საკადასტრო კოდი: #01.16.01.005.216) არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალადგილიანი ავტოსადგომის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 3 აპრილის №3163012 ბრძანებით, ცვლილება შევიდა აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდა: კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ჩანაწერი: „ელექტროგადამცემ ხაზებთან მიმართებაში დაცული იქნეს შესაბამისი სამშენებლო ნორმები.“.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს შეცვლილი საკადასტრო მონაცემების ასახვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის  მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3106151 ბრძანებით დამტკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, რაც დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის N882017957198; მომზადების თარიღი: 12/10/2017) მიხედვით, მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის (#01.16.01.005.216) და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (#01.13.07.021.119) გაერთიანება, რომლის შედეგადაც წარმოიქმნა N 01.13.07.021.121 საკადასტრო ერთეული (ფართობი: 2002 კვ.მ.).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის  მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3106151ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3106151 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი 01.13.07.021.121 ფართობი 2002  კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: N882017957198 რეგისტრაციის თარიღი : 12/10/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3106151 და 2017 წლის 3 აპრილის №3163012 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.